შპს ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადიინფორმაცია .....
2. მომზადების საფუძველი .....
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები .....
4. ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტები .....
5. დებიტორული დავალიანება .....
6. ძირითადი საშუალებები .....
7. სხვა აქტივები .....
8. კრედიტორული დავალიანება .....
9. საკუთარი კაპიტალი .....
10. შემოსავალის აღიარება .....
11. ხარჯების აღიარება .....
12. ფინანსური რისკის მართვა .....
13. ბალანსისი შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები .....
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
.....
.....

	დეკემბერი 2020	დეკემბერი 2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	180,049	403,311
სავაჭრო მოთხოვნები	1,955,055	1,915,979
გადახდილი ავანსები		13,946
მარაგები	639,128	162,367
მზა პროდუქცია		
სხვა	639,128	162,367
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		-
თვითღირებულების მოდელით		
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,515,774	1,552,615
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	**4,290,006**	**4,048,218**
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	466,427	142,471
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	94,656	84,658
საგადასახადო ვალდებულებები	25857.04	10898
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	62,434	62,434
სულ ვალდებულებები	**649,374**	**300,461**
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3981393	3981393
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-340,761	-233,636
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	**3,640,632**	**3,747,757**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**4,290,006**	**4,048,218**

საქმიანობის შედეგები	2020
ნეტო ამონაგები	**5,775,540**
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწევიდან	2,227,205
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	3548335.01
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**(3,889,693)**
საწყისი მარაგები	(162,367)
მარაგების შესყიდვა	(4,366,455)
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	639,128
საერთო მოგება	**1,885,847**
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,257,181)
ცვეთა და ამორტიზაცია	(157,997)
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	
იჯარის ხარჯი	(32,400)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(545,348)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(1,992,926)**
საოპერაციო მოგება	**(107,079)**
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**(107,079)**
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	**(107,079)**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**(107,079)**
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	**3,747,757**
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**3,640,632**

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2038899.58
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	1,908,407.84
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	**130,491.74**
გადახდილი პროცენტები	
გადახდილი მოგების გადასახადი	
გადახდილი სხვა გადასახადები	232,598.10
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**- 102,106.36**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალების შეძენა	121155.79
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**121,155.79**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)	
გადახდილი დივიდენდები	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**- 223,262.15**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	403,311
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	180,049

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა შპს ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრის დირექტორის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს და ხელმოწერილია

გიორგი ინგოროყვა
დირექტორი

29 სექტემბერი 2021 წ.

+06034937

1. ზოგადიინფორმაცია

შპს ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2010 წლის. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი წინანდლის 9, კომპანია სამედიცინო მომსახურებას უწევს დიალიზის პროგრამულ პაციენტებს .

კომპანიის 80% მლობელია მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა ს/კ 2113857 20%-იანი წილის მფლობელი ირმა ჭოხონელიძე პ/ნ 01018002363.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) და ფასს-ის ინტერპრეტაციების კომიტეტის (შემდგომში „ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ძირითად საშუალებებად კლასიფიცირებული საავადმყოფოებისა და კლინიკების და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვოპოლიტიკისძირითადიპრინციპები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ

ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.ჯანდაცვისთვის მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშების გადახდის ვადას წარმოადგენს 30 დღე ანგარიშფაქტურების დამტკიცების მომენტიდან. საქართველოს კანონმდებლობით, ანგარიშფაქტურის გადახედვისა და დამტკიცების პროცესს დაახლოებით 60 სამუშაო დღე სჭირდება. სახელმწიფოს გარდა

სხვა მხარეებისთვის გადახდის ვადები ინდივიდუალურად მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს და 30-დან 180 კალენდარულ დღემდე რანჟირებს.

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად ან როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, რომელიც უფრო მართებულია. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში

არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ზუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, საავადმყოფოებისა და კლინიკების გამოკლებით, აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.თვითღირებულებით პირველადი აღიარების შემდეგ საავადმყოფოები და კლინიკები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად (საბაზრო ღირებულების ცვლილების მონიტორინგი, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ ხდება), რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად იზრდება, ამ ზრდის აღიარება უნდა მოხდეს სხვა სრულ შემოსავალში და უნდა იქნეს აკუმულირებული საკუთარ კაპიტალში, სხვა რეზერვების ნაწილში. თუმცა ზრდის აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში იმდენად, რამდენადაც ის შეაბრუნებს იმავე აქტივის გადაფასებით გამოწვეულ და მოგებაში ან ზარალში მანამდე აღიარებულ შემცირებას. თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად შემცირდება, ამ შემცირების აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში.

თუმცა, შემცირების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში უნდა მოხდეს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მიღებული ზედმეტობის ნაშთების ოდენობით, რომლებიც კრედიტის ნაწილშია გატარებული. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კლება ამცირებს საკუთარ კაპიტალში სხვა რეზერვების ნაწილში

აკუმულირებულ თანხას.გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება მეთოდით.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო მარაგებს და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა ცვლილება მოგების დაბეგვრის არსებულ მოდელში. ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა. ახალი მოდელი ითვალისწინებს ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან საგადასახადო განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში, პარტნიორები უფლებამოსილნი იქნებიან მთლიანი გადახდილი თანხის 85%-ზე, ხოლო 15% მოგების გადასახადის სახით გადაეხდება საქართველოს საგადასახადო ორგანოებს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

საკუთარი კაპიტალი

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

კომპანია შემოსავლებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტისგან: ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან - კომპანია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი წარმოდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინების გარეშე, ანგარიშფაქტურების მოსალოდნელი კორექტირებები ფასდება კონტრაქტის დასაწყისშივე. კომპანიის მთლიანი შემოსავალი (კორექტირებებისა და ფასდაკლებების გამოქვითვამდე) ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშფაქტურებს, და დანარიცხებს გაწეულ მომსახურებაზე, რომლებისთვისაც ანგარიშფაქტურები ჯერ არ გამოწერილა.

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

შემოსავლის პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBIDTA)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე. შემოსავალი პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე განისაზღვრება, როგორც კომპანიის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და

ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან და წმინდა არარეგულარული (ხარჯი)/შემოსავალი.

წმინდა არარეგულარული ხარჯი / შემოსავალი

კომპანია ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. კომპანია არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს სებ-ის გაცვლით კურსს შორის სხვაობები მოგებაში ან ზარალში ასახულია სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრს იყო 3.2766ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

ჩამოწერის პოლიტიკა

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ მათი ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს. ეს მაჩვენებლებია კონტრაჰენტის გაკოტრება, სასამართლო გადაწყვეტილება ან ორ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილება. კომპანია აგრძელებს ნებისმიერი დებიტორული დავალიანების ამოღებას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის მიჩნეული უიმედოდ, მიუხედავად ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობისა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გამო ჯგუფს არ შეუძლია დებიტორული დავალიანების ამოღება, თუ გასულია სამი წელი გაგზავნილი ბოლო წერილობითი შეხსენების თარიღიდან.

4. ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი 2019 წ.
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	177862	402259
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	2187	1052
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	180049	403311

5. დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2020 წ.	31 დეკემბერი 2019 წ.
მოკლევადიანი მოთხოვნები	1955055	1915979

6. ძირითადისაშუალებები

სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო მონაცემების შესაბამისად. მათი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019წ	31 დეკემბერი 2019წ
შენობები	966525.59	996318
მანქანა დანადგარები	103750.67	101441
ოფისის აღჭურვილობა	30907.54	30419
ავეჯი და ინვენტარი	70206.98	34753
სამედიცინო ინვენტარი	223643.63	279554
1000 ლარამდე ღირებულების	50615	50615
გრძელვადიანი მოთხოვნები	57943	57943
არამატერიალური აქტივი	1571	1571
	1515773.96	1552615

7. სხვააქტივები

	31 დეკემბერი 2020 წ.	31 დეკემბერი 2019 წ.
ავანსად გადახდილი თანხები	0	13946

8. კრედიტორულიდავალიანება

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი 2019 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	466426.61	142471
სხვა ვალდებულებები	62434	62434
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	94656.06	84658
კრედიტორული დავალიანება, სულ	1515773.96	289563

გადასახადები

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებური განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

9. საკუთარიკაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3981393 ლარი ხოლო სულ საკუტარი კაპიტალი 3640632.43 ლარს.

10.შემოსავლების აღიარება

კომპანიას გააჩნია რამდენიმე სახის შემოსავალი:მომსახურების გაწევიდან და ფართის იჯარიდან;

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილ შემოსავლებს კომპანია აღიარებს ფასს 15-ის შესაბამისად, კერძოდ, როდესაც მოსალოდნელია აღნიშნულ მომსახურებას სანაცვლოდ შესაბამისი საზღაურის მიღება და შემოსავალთან დაკავშირებით ყველანაირი ვალდებულება შესრულებულია.

	2020წ
ამონაგები	2227204.68
სხვა შემოსავლები	3548335.01
სულ ამონაგები	5775539.69

11.ხარჯების აღიარება

კომპანია დანახარჯების აღიარებს ოპერაციის მოხდენის მომენტში, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად;

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია.საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში,როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან და ან ვალდებულების ზრდასთან

დაკავშირებული მომავალი ეკონომიური სარგებელი და ამგვარი ცვლილებების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

2020წ

	ლარი
ხელფასები	1257180.65
ცვეთა ამორტიზაცია	157996.98
მარაგების ხარჯი	3889693.03
იჯარის ხარჯი	32400
სხვა ხარჯები	545394.12

12. ფინანსური რისკების მართვა.

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტის ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი.კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი.კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამმ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფადმ რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აუქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს, თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს

დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მოწმოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.
ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.
სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

13. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები.
ბალანსის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

14.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 29 სექტემბერს
დირექტორი - გიორგი ინგოროყვა

შპს ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი ს/კ 406034937

აქტივები	დეკემბერი **2020**	დეკემბერი **2019**
ფული და ფულის ეკვივალენტები	180,049	403,311
სავაჭრო მოთხოვნები	1,955,055	1,915,979
გადახდილი ავანსები		13,946
მარაგები	639,128	162,367
მზა პროდუქცია		
სხვა		
საინვესტიციო ქონება	639,128	162,367
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
თვითღირებულების მოდელით		-
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები		
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1,515,774	1,552,615
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	**4,290,006**	**4,048,218**
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	466,427	142,471
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	94,656	84,658
საგადასახადო ვალდებულებები	25857.04	10898
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	62,434	62,434
სულ ვალდებულებები	**649,374**	**300,461**
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3981393	3981393
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-340,761	-233,636
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	**3,640,632**	**3,747,757**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**4,290,006**	**4,048,218**

დირექტორი გ.ინგოროყვა

ბუღალტერი თ.მოისწრაფიშვილი

საქმიანობის შედეგები	2020	2019
ნეტო ამონაგები	**5,775,540**	5,499,442
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	2,227,205	2,230,013
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	3548335.01	3269429
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**(3,889,693)**	**(3,751,751)**
საწყისი მარაგები	(162,367)	(44,761)
მარაგების შესყიდვა	(4,366,455)	(3,869,357)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	639,128	162,367
საერთო მოგება	**1,885,847**	1,747,691
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,257,181)	(904,589)
ცვეთა და ამორტიზაცია	(157,997)	(163,980)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი	(32,400)	(32,400)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(545,348)	(521,818)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(1,992,926)**	**(1,622,787)**
საოპერაციო მოგება	**(107,079)**	**124,904**
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**(107,079)**	**124,904**
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	**(107,079)**	**124,904**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**(107,079)**	124,904
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	**3,747,757**	**3,622,852**
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		124,905
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**3,640,632**	**3,747,757**

დირექტორი გ,ინგოროყვა

ბუღალტერი თ,მოისწრაფიშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2038899.58	2,044,873
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	1,908,407.84	1,573,893.80
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	**130,491.74**	**470,979.00**
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი მოგების გადასახადი		
გადახდილი სხვა გადასახადები	232,598.10	179,157.37
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**- 102,106.36**	**291,821.63**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	121155.79	64,612.00
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**121,155.79**	**64,612.00**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)		
გადახდილი დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
სავალუტო კურსის ეფექტი		646.58
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**- 223,262.15**	**227,856.21**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	403,311	175,455
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	180,049	403,311

დირექტორი გ,ინგოროყვა

ბუღალტერი თ,მოისწრაფიშვილი